სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/07/2024

MES 2 24 0000805396

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 34-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №01-05-04/101 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 05 ივლისს გამოცხადდეს ღია კონკურსი 2024/2025 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთი ვაკანტური თანამდებობის (0,5 საშტატო ერთეული) დასაკავებლად სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №01-05-04/101 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების შესაბამისად.
2. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2024 წლის 26 აგვისტოდან და გაგრძელდეს 05 სექტემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში.
3. კონკურსი ჩატარდეს 2024 წლის 10 სექტემბერს. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2024 წლის 11 სექტემბერს საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

4. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს პრესაში, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილას.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ